განმარტებითი ბარათი

ს/ს ,,სარინი", ს/ს ,,კომპლექტი", შპს ,,ვაგონმშენებელი", შპს ,,კონსტრუქცია", შპს ,,ფოლადკონსტრუქცია", შპს ,,კანო", შპს ,,ევროსტანდარტი" შპს ,,ჭიათურმანგანუმ ჯორჯია", შპს ,,ჯეო-ფილერთან" 2019 წლის 15 სექტემბერს დადებული #1/18 ხელშეკრულების საფუძველზე შპს "არიში"-ს მიერ მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია ქ. რუსთავის ჯავახიშვილის ქუჩის (მშვიდობის ქუჩიდან მაზნიაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე) გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე სისტემის მოწყობისათვის.

A Aსარეაბილიტაციო ობიექტი მდებარეობს რუსთავის მუნიციპალიტეტის ჭყონდიდელის დასახლებაში. სარეაბილიტაციო გზა არის ასფალტირებული. ა/ბეტონის საფარი დაზიანებულია ზოგ ადგილებში საერთოდ აღარ არის.

წარმოდეგენილი პროექტი ითვალისწინებს გზის გეომეტრიული ზომების შენარჩუნებას როგორც სავალი ნაწილის ასევე მიერთებებზე.Mსაპროექტო გზის სიგრძეა 921,3მ, საერთო ფართობია 11598 მ2 (აქედან სავალი ნაწილია 6450 მ2, გვერდულები 921მ2 მიერთებები 1400მ2, საპარკინგე მოედნები 1200მ2, ტროტუარები 1627მ2), პროექტით გათვალისწინებულია სანიაღვრე ქსელის მოწყობა 1057მ და ბეტონის ბორდიურები 30*15სმ 745მ და 20*10სმ 709მ.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის პროექტში გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებები: არსებული დაზიანებული საფარის და საფუძვლის მოხსნა და გატანა ნაყარში.

პროექტში საგზაო სამოსის სამი ტიპია გამოყენებული.

ტიპი-I სავალი ნაწილი 6450 მ2.

1 საფუძველი შემასწორებელი ფენა - ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი სისქით Hსაშ=50სმ

2. საფუძვლის ზედა ფენა – ფრაქციული ღორღი 0-40მმ სისქით _ 15 სმ

3. ბირუმის მოსხმა 0.7კგ—1მ2

4 ა/ბეტონის საფარის ქვედა ფენა –მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონი სისქით _ 6 სმ.

5 ბირუმის მოსხმა 0.35კგ—1მ2

6. ა/ბეტონის საფარის ზედა ფენა –წვრილმარცვლოვანი მკვრივი "ბ" ტიპის ა/ბეტონი სისქით _ 5 სმ.

ტიპი-II მიერთება 1627მ2. საპარკინგე მოედნები 1200მ2

1 საფუძველი შემასწორებელი ფენა - ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი სისქით Hსაშ=20სმ

2. საფუძვლის ზედა ფენა – ფრაქციული ღორღი 0-40მმ სისქით _ 15 სმ

3. ბირუმის მოსხმა 0.7კგ—1მ2

4. ა/ბეტონის საფარის ქვედა ფენა –მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონი სისქით _ 6 სმ.

5. ბირუმის მოსხმა 0.35კგ—1მ2

6. ა/ბეტონის საფარის ზედა ფენა –წვრილმარცვლოვანი მკვრივი "ბ" ტიპის ა/ბეტონი სისქით _ 5 სმ.

ტიპი-III ტროტუარები 1400მ2

1 საფუძველი შემასწორებელი ფენა - ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი სისქით Hსაშ=20სმ

2. საფუძვლის ზედა ფენა – ფრაქციული ღორღი 0-40მმ სისქით _ 7 სმ

3 ა/ბეტონის საფარი –ქვიშოვანი ა/ბეტონი სისქით _ 3 სმ.

Pპროექტი მოერგოს არსებულ სიტუაციას. Dამოიიწმინდოს მშვიდობის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე ჭა და დახურული სანიაღვრე გოფრირებული მილიების მოწყობა დაიწყოს არსებული სანიაღვრე ჭიდან.

საპროექტო დავალება არ ითვალისწინებს საგზაო ნიშნების და ჰორიზონტალურ მონიშვნების მოწყობას. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით, შემდგომში საჭირო გახდება მომზადდეს მოძრაობის უსაფრთხოების ტექნიკური პასპორტი.

პროექტი დამუშავებულია მოქმედი საამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, СН и П 2.05.02-85 სსტ Gზები 2009 ,,გზები საავტომობილო საერთო სარგებლობის გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები".

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

ქ. რუსთავის ტერიტორია განთავსებულია ქვემო ქართლის ველის ფარგლებში, ამიტომ მისი ტერიტორიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ვაკე რელიეფს. ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური და რაიონების მიხედვით მიეკუთვნება საქართველოს დელტის აღმოსავლეთის დაძვრის ოლქის მტკვრისა და ალაზნის ვაკის ფხვიერი და პლასტიკური მეოთხეული ასაკის ალივიურ-პროლუვიური ნალექების რაიონის რუსთავ-მარნეულის ქვე რაიონს. ლითოლოგიურად ქანები წარმოდგენილია თიხნარი და კეჭნარ-ხრეშოვანი მლაშე გრუნტებით. ძირითადი ქანები ტერიტორიის მიდამოებში იმყოფება ღრმად და ძირითადად წარმოდგენილია პალეოგენ-ნეოგენის ასაკის ნახევარკლდოვანი და კლდოვანი თაბაშირის შემცველი ქვიშაქვების სუბარგელიტების და პილოპლასტიური ქანების წყობით.

უბანი მდგრადია და დამაკმაყოფილებელ საინჟინრო პირობებში იმყოფება.

ზოგადი გეოლოგიური პირობების მიხედვით არის სამი ძირითადი ფენა:

ფენა #1--ასფალტის საგები ფენა (ტQIV) 0,05—0,15მ. წარმოდგენილია ნაცრისფერი კენჭნარით, საშუალო მსხვილი ფრაქციის ქვიშის შემავსებლით. ფენა უწყლოა.

ფენა #2--ნაყარი გრუნტი (ტQIV) 0,4—0,6მ. გავრცელებულია მე-2 ფენის სახით. წარმოდგენილია ყავისფერი ნახევრად მყარი, კარბონატული თიხნარით, სამშენებლო მასალის ნამტვრევების (ღორღი, ხვინჭა) ჩანართით. ფენა უწყლოა.

ფენა #3--თიხა (დპQIV) ყავისფერი და მუქი ყავისფერი შეფერილობის, კარბონატული, მარილის თეთრი ბუდობებით. მცენარის ფესვების მცირე შემცველობით.

მშენებლობის ორგანიზაცა

1. საერთო ნაწილი

ა. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- ხელშეკრულება პროექტირებაზე ;
-პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტილებები;
- მშენებლობის სიტუაციური გეგმა;
- გეოდეზიური გეგმა;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება.

ბ. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია სპეციფიკაციის ნაწილში

გ. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

დ. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მშენებლობის ხანგრძლივობა (მთლიანი) –60 სამუშაო დღე

2. მშენებლობის პირობები, ობიექტების დახასიათება.

საპროექტო გზა მდებარეობს რუსთავის მუნიციპალიტეტის ჭყონდიდელის დასახლებაში. რეაბილიტაციას ექვემდებარება ჯავახიშვილლის ქუჩის გზა, რომლის საერთო ფართობია 11598 მ2, ტროტუარებით, მიერთებებით და მოედნებით.

3. მშენებლობის ხანგრძლივობა

საპროექტო ობიექტის მშენებლობა და ხანგრძლივობა განისაზღვრება საამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით

მშენებლობის მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

-ქუჩის ზოლის ნაწილის გადაკეტვა /მონაკვეთებად/;
-დროებითი შენობების მოწყობა ჯგუფურად;
-სავალი ნაწილის საფარის და საფუძვლის მოხსნა
-სამშენებლო ნაგვის გატანა.

4. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

-სამუშაოების წარმოება მოხდეს მონაკვეთებად. თითო მონაკვეთის სიგრძე უნდა იყოს პიკეტიდან პიკეტამდე
ძირითადად პერიოდში ხდება:
- სანიაღვრე ქსელის მოწყობა
- საფუძვლის მოწყობა
- ბორდიურების მოწყობა
- ტროტუარების ა/ბეტონის საფარის მოწყობა
- ასფალტო-ბეტონისა საფარის მოწყობა სავალ ნაწილზე, მოედნებზე და მიერთებებზე.

5.უსაფრთხოების ტექნიკა

სამშენებლო მოედნზე სამუშაოთა წარმოება ყველა ეტაპზე უსაფრთხოების დაცვა მოხდეს СНиП III-4-80* შესაბამისად:
-ასფალტობეტონის და საფუძვლის მოხსნამდე არსებული ქალაქის ქუჩების პირობებში. ტერიტორია შემოიღობოს ამკრძალავი ლენტებით

6. გარემოს დაცვის ღონისძიებანი

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.
პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული უნდა იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი/ აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი უსაფრთხოების ლენტებით./
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:
-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ეკოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.